ჯგუფის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება ამ მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობის და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

**ვალუტის გაცვლითი კურსი**

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

|                   | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|-------------------|-------------------|-------------------|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 2.8068            | 2.6894            |
| ლარი/1 ევრო       | 2.9306            | 2.9753            |

**ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც ჯგუფმა გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად, მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და ჯგუფი ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

## მშს ინტერ გაზი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ჯგუფი საკრედიტო რისკების შეფასებას ახორციელებს ინდივიდუალურ საფუძველზე. გაუფასურების რეზერვი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. იმისათვის, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი ჯგუფურად, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი. გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები არის აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

## სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ჯგუფის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფადბრუნვად მარაგებს. საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები წარმოადგენს ჯგუფის საოპერაციო საქმიანობისათვის საჭირო მარაგებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება.

## მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგრვა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში

## დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

## ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება.



## მპს ინტერ გაზი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/ სხვა ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აისახება საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლოს შემოსვლას ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

## პერიოდის ცვეთის ხარჯი

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების დამონტაჟების და მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის იყო შემდეგი:

|                            |     |
|----------------------------|-----|
| • შენობა-ნაგებობა          | 5%  |
| • მანქანა-დანადგარები      | 20% |
| • ოფისის აღჭურვილობა       | 20% |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი  | 20% |
| • კომპიუტერული ტექნიკა     | 20% |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 20% |

## არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ: ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

## გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი ჯგუფი ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

## სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

ვალდებულების არსებითი ნაწილი შედგება ეროვნულ ვალუტაში წარდგენილი ვალდებულებისაგან, ვინაიდან ჯგუფი მომსახურებას უწევს ადგილობრივ ბაზარზე არსებულ კომპანიებს.

## შპს ინტერ გაზი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გამსესხებლისთვის გადასახდელი ფულის რაოდენობის მიმდინარე ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). მიღებული სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და წარდგენილია ფინანსურ ხარჯებში.

სესხით მომსახურებაზე განხორციელებული გადახდები (საპროცენტო ხარჯი) აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდის დანახარჯზე რომელშიც მოხდა მისი გაწევა.

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით. არსებული სესხები წარმოადგენს, როგორც საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებულ ვადიან სესხებს და საკრედიტო ხაზს, რომლის მიღებაც და გადახდაც ხორციელდება ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხების პროპორციულად, ასევე იურიდიული და ფიზიკური პირებისგან მიღებულ სასესხო ვალდებულებებს.

## ღივიდენდები

ღივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ღივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

## შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს სამედიცინო მომსახურების მიწოდებით მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, ჯგუფი გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

## თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს მრიცხველების და გაზსადენების მონტაჟის დანახარჯებს, რეალიზებული ბუნებრივი აირის ღირებულებას და მასთან დაკავშირებულ თანამშრომლების ანაზღაურებას.

## ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს საიჯარო ხარჯებს, საოფისე ხარჯებს, კომუნიკაციის და კომუნალურ ხარჯებს, ასევე ხარჯებში გაერთიანებულია საწვავისა და ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები.

ჯგუფი ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც ჯგუფს წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

## პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას, რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შპს ინტერ გაზი  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური შემოსავლები და ფინანსური ხარჯები

- ჯგუფის ფინანსურ შემოსავლებში შედის:
- საბანკო ანგარიშებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლები;
  - გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლები;
  - საკურსო ცვლილებით წარმოშობილი მოგება სხვა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;
- ჯგუფის ფინანსურ ხარჯებში შედის:
- საბანკო სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯები;
  - პრივატიზაციით მიღებულ ქონებაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯები.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკურსო სხვაობით წარმოშობილი შემოსულობები და ზარალი წმინდა საფუძველზე აღირიცხება იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა შემოსულობის პოზიციამია, თუ წმინდა ზარალის. სესხით სარგებლობის დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, მშენებლობას და წარმოებას აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

| შენიშვნა 3 - შემოსავალი რეალიზაციიდან | 2024              | 2023              |
|---------------------------------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან     | 21 713 786        | 33 091 127        |
| სხვა შემოსავალი                       | 9 880             | 41 295            |
| <b>სულ შემოსავალი რეალიზაციიდან</b>   | <b>21 723 666</b> | <b>33 132 422</b> |

ჯგუფის პერიოდის შემოსავლები მოიცავს საანგარიშო პერიოდში ბუნებრივი აირის და მასთან დაკავშირებული მომსახურებების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

შენიშვნა 4 - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

საანგარიშო პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ბუნებრივი აირის თვითღირებულებას, გაზსადენების და მრიცხველების მონტაჟის დანახარჯებს, რომელიც 2024 და 2023 წლებში შემდეგია:

|                                                  | 2024              | 2023              |
|--------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| რეალიზებული ბუნებრივი აირის თვითღირებულება       | 6 452 793         | 5 508 287         |
| ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება                   | 292 183           | 258 283           |
| პირდაპირი ხელფასის ხარჯები                       | 1 313 194         | 1 859 259         |
| სახარჯი მასალების ღირებულება                     | 1 786 692         | 4 466 916         |
| საპროექტო მომსახურების ხარჯი                     | 907 141           | 1 177 461         |
| ცვეთის ხარჯები                                   | -                 | 4 638             |
| თვითღირებულების სხვა ხარჯები                     | 10 763            | 21 346            |
| <b>სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b> | <b>10 762 766</b> | <b>13 296 190</b> |

| შენიშვნა 5 - მიწოდების ხარჯი        | 2024             | 2023             |
|-------------------------------------|------------------|------------------|
| მომსახურების ხარჯები                | 948 144          | 1 472 108        |
| ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები | 156 302          | 555 703          |
| პროექტის ხარჯები                    | 630              | 22 516           |
| მიწოდების სხვა ხარჯები              | 5 458            | 284 432          |
| ხელფასის ხარჯები                    | 311 020          | 276 353          |
| <b>სულ მიწოდების ხარჯი</b>          | <b>1 421 554</b> | <b>2 611 113</b> |

შპს ინტერ გაზი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

| შენიშვნა 6 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 2024             | 2023             |
|------------------------------------------------|------------------|------------------|
| სახელფასო ხარჯები                              | 1 056 109        | 858 872          |
| ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები                  | 610 283          | 544 562          |
| საიჯარო ხარჯები                                | 84 413           | 78 565           |
| საბანკო ხარჯები                                | 33 170           | 48 474           |
| სოციალური დანარიცხების ხარჯები                 | 34 125           | 44 757           |
| მივლინების ხარჯები                             | 25 007           | 43 704           |
| საკონსულტაციო ხარჯები                          | 30 000           | 31 000           |
| საწვავის ხარჯები                               | 19 254           | 14 440           |
| კომუნიკაციის ხარჯები                           | 10 872           | 10 851           |
| კომუნალური ხარჯები                             | 7 044            | 7 321            |
| საკანცელარიო ხარჯები                           | 3 857            | 5 054            |
| დაზღვევის ხარჯები                              | 455              | 3 067            |
| საგადასახადო ხარჯები                           | -                | 667 059          |
| სხვა საერთო ხარჯები                            | 192 232          | 238 307          |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b>   | <b>2 106 820</b> | <b>2 596 033</b> |

| შენიშვნა 7 - ფინანსური შემოსავლები            | 2024           | 2023           |
|-----------------------------------------------|----------------|----------------|
| საპროცენტო შემოსავლები                        | 105 166        | 205 157        |
| საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსავალი | 32 133         | -              |
| <b>სულ ფინანსური შემოსავლები</b>              | <b>137 298</b> | <b>205 157</b> |

| შენიშვნა 8 - ფინანსური ხარჯები                  | 2024           | 2023             |
|-------------------------------------------------|----------------|------------------|
| სესხზე დარიცხული პროცენტი                       | 598 745        | 1 955 491        |
| პრივატიზაციით მიღებული ქონების საპროცენტო ხარჯი | 171 153        | 141 920          |
| საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი       | -              | 64 301           |
| <b>სულ ფინანსური ხარჯები</b>                    | <b>769 898</b> | <b>2 161 712</b> |



შპს ინტერ გაზი  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 9 - ძირითადი საშუალებები

|                                             | მიწა           | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | შენობები          | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | კომპიუტერული<br>ტექნიკა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ავიჯი და სხვა<br>ინვენტარი | სულ<br>ძირითადი<br>საშუალებები |
|---------------------------------------------|----------------|-----------------------------|-------------------|-------------------------|-----------------------|-------------------------|-----------------------------|----------------------------|--------------------------------|
| თვითღირებულება                              | 186 190        | -                           | 11 514 129        | 49 181                  | 10 569                | 10 583                  | 126 688                     | 234 370                    | 12 131 709                     |
| ცვეთა                                       | -              | -                           | (1 828 534)       | -                       | (1 386)               | (6 211)                 | (51 034)                    | (79 018)                   | (1 966 183)                    |
| <b>ბალანსი 31/12/2022</b>                   | <b>186 190</b> | <b>-</b>                    | <b>9 685 595</b>  | <b>49 181</b>           | <b>9 183</b>          | <b>4 372</b>            | <b>75 654</b>               | <b>155 352</b>             | <b>10 165 526</b>              |
| დანამატები                                  | -              | -                           | 1 020 025         | -                       | -                     | 3 919                   | 125 725                     | 52 133                     | 1 201 803                      |
| აქტივების ჩამოწერა                          | -              | -                           | -                 | -                       | -                     | (364)                   | (96 271)                    | (5 254)                    | (101 889)                      |
| ცვეთა პერიოდისათვის<br>ჩამოწერილი აქტივების | -              | -                           | (526 084)         | -                       | (689)                 | (347)                   | (10 214)                    | (11 365)                   | (548 698)                      |
| ცვეთა                                       | -              | -                           | -                 | -                       | -                     | 364                     | 41 891                      | -                          | 42 255                         |
| <b>ბალანსი 31/12/2023</b>                   | <b>186 190</b> | <b>-</b>                    | <b>10 179 536</b> | <b>49 181</b>           | <b>8 494</b>          | <b>7 944</b>            | <b>136 785</b>              | <b>190 866</b>             | <b>10 758 996</b>              |
| დანამატები                                  | -              | 8 875 464                   | 3 272 618         | 10 763                  | -                     | -                       | 15 119                      | 15 772                     | 12 189 735                     |
| აქტივების ჩამოწერა                          | -              | -                           | (1)               | (10 763)                | -                     | -                       | -                           | -                          | (10 764)                       |
| ცვეთა პერიოდისათვის<br>ჩამოწერილი აქტივების | -              | -                           | (565 132)         | -                       | (631)                 | (1 258)                 | (32 206)                    | (10 559)                   | (609 785)                      |
| ცვეთა                                       | -              | -                           | -                 | -                       | -                     | -                       | -                           | -                          | -                              |
| <b>ბალანსი 31/12/2024</b>                   | <b>186 190</b> | <b>8 875 464</b>            | <b>12 887 021</b> | <b>49 181</b>           | <b>7 863</b>          | <b>6 687</b>            | <b>119 698</b>              | <b>196 079</b>             | <b>22 328 182</b>              |
| <b>ბალანსი 31/12/2023</b>                   | <b>186 190</b> | <b>-</b>                    | <b>10 179 536</b> | <b>49 181</b>           | <b>8 494</b>          | <b>7 944</b>            | <b>136 785</b>              | <b>190 866</b>             | <b>10 758 996</b>              |
| <b>ბალანსი 31/12/2024</b>                   | <b>186 190</b> | <b>8 875 464</b>            | <b>12 887 021</b> | <b>49 181</b>           | <b>7 863</b>          | <b>6 687</b>            | <b>119 698</b>              | <b>196 079</b>             | <b>22 328 182</b>              |

\*ჯგუფის ბალანსზე არსებული შენობები მოიცავს სახელმწიფოსგან პრივატიზაციით მიღებულ ქონებას, რომლის დისკონტირებული ღირებულება წარმოადგენს 2,012,291 ლარს, ხოლო დარიცხული ცვეთა 68,515 ლარს.

\*დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს გაზსადენის მშენებლობაზე გაწეული სამუშაოებს, რომელიც ჯერ არ არის დასრულებული და ექსპლუატაციაში შესული.

\*ჯგუფის ქონება დატვირთულია იპოთეკით კომერციულ ბანკებთან არსებული სესხების საფუძველზე.

შპს ინტერ გაზი  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 10 - მონაწილეობა მეკავშირე საწარმოში

| 31.12.2024                         |            |                         |                       |
|------------------------------------|------------|-------------------------|-----------------------|
| დასახელება                         | საქმიანობა | საბალანსო<br>ღირებულება | ფლობილი<br>ინვესტიცია |
| შპს ვამ ტრაიდინგი                  | ვაჭრობა    | 6 560 778               | 20%                   |
| სულ მონაწილეობა შვილობილ საწარმოში |            | 6 560 778               |                       |

| 31.12.2023                         |            |                         |                       |
|------------------------------------|------------|-------------------------|-----------------------|
| დასახელება                         | საქმიანობა | საბალანსო<br>ღირებულება | ფლობილი<br>ინვესტიცია |
| ვამ ტრაიდინგი                      | ვაჭრობა    | 4,760,778               | 20%                   |
| სულ მონაწილეობა შვილობილ საწარმოში |            | 4,760,778               |                       |

გასულ საანგარიშო პერიოდში შპს „ინტერ გაზ“-მა შეისყიდა ჩეხეთში დაარსებული კომპანიის შპს „ვამ ტრაიდინგი“-ს 20%-იანი წილი, რომელიც წარმოადგენს მეკავშირე საწარმოს. მიმდინარე პერიოდში აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელდა შპს „ვამ ტრაიდინგი“ კაპიტალში დამატებითი თანხების შეტანა. 2024 წლის მდგომარეობით საწარმო ფლობს შპს „ქართული ხორცის კომპანიის“ 100%-იან და შპს „ვამ ტრაიდინგის“ 20%-იან წილებს.

| შენიშვნა 11 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|----------------------------------------------|------------|------------|
| ნედლეული და მასალები                         | 3 426 326  | 2 592 208  |
| სხვა მარაგები                                | 27 841     | 10 727     |
| სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები           | 3 454 167  | 2 602 934  |

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს მონტაჟის მომსახურებისთვის საჭირო მარაგებს.

| შენიშვნა 12 - გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|-------------------------------------------------------|------------|------------|
| დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები               | 963 793    | 144 663    |
| ფიზიკურ პირებთან დარიცხული საპროცენტო მოთხოვნები      | 88 122     | -          |
| იურიდიულ პირებთან დარიცხული საპროცენტო მოთხოვნები     | 52 319     | 35 275     |
| სულ გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები           | 1 104 234  | 179 938    |

გაცემულ სესხებზე და მასზე დარიცხულ პროცენტებზე 2024 და 2023 წლების საანგარიშო პერიოდების შესაბამისად მოძრაობა იყო:

|                           | 2024      | 2023        |
|---------------------------|-----------|-------------|
| 1 იანვარს                 | 179 938   | 3 593 534   |
| გაცემული სესხები          | 850 900   | -           |
| გაცემული სესხების დაფარვა | (31 770)  | (3 004 142) |
| მიღებული პროცენტები       | -         | (604 110)   |
| საპროცენტო შემოსავალი     | 105 167   | 194 656     |
| 31 დეკემბერს              | 1 104 235 | 179 938     |

შპს ინტერ გაზი  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

| შენიშვნა 13 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 31.12.2024       | 31.12.2023        |
|------------------------------------------------------|------------------|-------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან             | 2 880 766        | 5 074 223         |
| გადახდილი ავანსები                                   | 551 363          | 1 548 176         |
| დაკავშირებულ მხარეზე გაცემული ავანსები               | 4 350 000        | 4 600 000         |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება</b>    | <b>7 782 129</b> | <b>11 222 399</b> |

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების მუხლი მოიცავს დაკავშირებულ მხარეზე გადახდილ ავანსს, რაც წარმოადგენს დამფუძნებლისათვის წილის შესყიდვის მიზნით გადახდილ ფულად თანხებს, რომელზეც შემდგომ ბათილად იქნა ცნობილი წილის გამოსყიდვის ოპერაცია, ვინაიდან ჯგუფს არ გადაეცა მასზე კონტროლი და ბალანსის შემდგომ პერიოდში აღნიშნული თანხა სრულად უნდა დაუბრუნდეს გამცემ მხარეს.

| შენიშვნა 14 - ფული და ფულის ექვივალენტები | 31.12.2024    | 31.12.2023     |
|-------------------------------------------|---------------|----------------|
| ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე       | 8 688         | 2 300          |
| უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე        | 140           | 285            |
| ნაღდი ფული სალაროში                       | 15 165        | 540 942        |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b>    | <b>23 992</b> | <b>543 527</b> |

| შენიშვნა 15 - სასესო ვალდებულებები     | 31.12.2024       | 31.12.2023       |
|----------------------------------------|------------------|------------------|
| მიღებული სესხები - გრძელვადიანი ნაწილი | 3 335 522        | 1 963 308        |
| მიღებული სესხები - მიმდინარე ნაწილი    | 2 603 728        | 2 570 843        |
| გადასახდელი პროცენტები                 | 340 842          | 289 514          |
| <b>სულ სასესო ვალდებულებები</b>        | <b>6 280 092</b> | <b>4 823 665</b> |

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია მიღებული დაუფარავი სესხები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| გამსესხებელი             | ვალუტა | საპროცენტო<br>განაკვეთი | ვალიანობა  | 31.12.2024       | 31.12.2023       |
|--------------------------|--------|-------------------------|------------|------------------|------------------|
| სს თიბისი ბანკი 10388440 | ევრო   | 7.50%                   | 28/02/2027 | 1 578 270        | 2 171 108        |
| სს თიბისი ბანკი 12438575 | ლარი   | 12.30%                  | 30/01/2024 | -                | 2 002 062        |
| სს თიბისი ბანკი 13279323 | ლარი   | 10.75%                  | 02/07/2025 | 2 000 000        | -                |
| სს ლიბერთი ბანკი         | ლარი   |                         |            | 2 000 000        | -                |
| შპს ტრანსმშენი           |        |                         |            | 295 980          | 295 980          |
| ალექსანდრე ჭოლოკავა      |        |                         |            | 65 000           | 65 000           |
| <b>სულ სესხები</b>       |        |                         |            | <b>5 939 250</b> | <b>4 534 150</b> |

სესხებზე განხორციელებული მოძრაობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემდეგია:

|                                                     | 2024             | 2023             |
|-----------------------------------------------------|------------------|------------------|
| ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები | 4 823 665        | 4 496 408        |
| სესხზე დარიცხული პროცენტი                           | 466 876          | 1 405 213        |
| მიღებული ფულადი სახსრები                            | 7 057 837        | 13 959 930       |
| გადახდილი პროცენტი                                  | (270 997)        | (201 843)        |
| გადახდილი ძირი თანხა                                | (5 761 981)      | (14 896 486)     |
| დადებითი საკურსოს ხვაობა                            | (35 309)         | 60 443           |
| <b>სულ ნასესხები სახსრები</b>                       | <b>6 280 092</b> | <b>4 823 665</b> |
| გრძელვადიანი ნაწილი                                 | 3 335 522        | 2 854 188        |
| მოკლევადიანი ნაწილი                                 | 2 944 570        | 1 642 220        |

შპს ინტერ გაზი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

| შენიშვნა 16 - სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები  | 31.12.2024       | 31.12.2023       |
|------------------------------------------------|------------------|------------------|
| აქტივის შეძენით წარმოქმნილი ვალდებულება        | 2 012 291        | 961 394          |
| დისკონტირებულ ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი | 412 363          | 241 210          |
| <b>სულ სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     | <b>2 424 654</b> | <b>1 202 604</b> |

ჯგუფმა 2022 წელს სახელმწიფოსგან შეიძინა ორი უძრავი ქონება, ასევე მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მოხდა ორი უძრავი ქონების შეძენა, რომელთა თვითრიცხვებზეც დისკონტირებულია ფინანსურ ანგარიშგებისთვის, რადგან მისი დაფარვა განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული გრაფიკებით.

მოგება-ზარალში აღიარებული თანხები:

|                                                 | 2024           | 2023           |
|-------------------------------------------------|----------------|----------------|
| პროვატიზაციით მიღებული ქონების ცვეთის ხარჯი     | 68 515         | 63 255         |
| საპროცენტო ხარჯი პრივატიზაციით მიღებულ ქონებაზე | 171 153        | 141 920        |
| <b>მოგება ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა</b>  | <b>239 668</b> | <b>205 174</b> |

| შენიშვნა 17 - სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება   | 31.12.2024       | 31.12.2023       |
|---------------------------------------------------------|------------------|------------------|
| მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 6 505 314        | 3 177 005        |
| მიღებული ავანსები                                       | 418 847          | 413 346          |
| გადასახდელი ხელფასები                                   | 5 020            | 50 246           |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები                            | 4 885            | 4 885            |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება</b>      | <b>6 934 066</b> | <b>3 645 482</b> |

## 18. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

### სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

### გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

## 19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, პოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);



## შპს ინტერ გაზი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

| დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები: | 2024      | 2023      |
|-------------------------------------------|-----------|-----------|
| გაცემული სესხები                          | 963 793   | 144 663   |
| მისაღები პროცენტები                       | 140 441   | 35 275    |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                | 4 350 000 | 4 600 000 |

| დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები: | 2024    | 2023   |
|-----------------------------------------------------|---------|--------|
| სესხის გაცემა                                       | 850 900 | -      |
| გაცემული სესხების დაბრუნება                         | 31 770  | 4 142  |
| საპროცენტო შემოსავალი                               | 105 166 | 17 724 |

| დარიცხული ხელფასი:      | 2024    | 2023    |
|-------------------------|---------|---------|
| მენეჯმენტის ანაზღაურება | 228 100 | 183 350 |

## 20. ჯგუფის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარს და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

ფინანსური ანგარიშგების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიმდინარე სასესხო ვალდებულებები შეადგენს 2 944 570 ლარს, ხოლო გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 3 335 522 ლარია, ასევე საწარმოს მიმდინარე პერიოდში და 2022 წელს სახელმწიფოსგან პრივატიზაციით მიღებული აქვს ქონება, რომლის დისკონტირებული ღირებულებაც შეადგენს 2 424 654 ლარს. ჯგუფის ფულადი სახსრები და გაცემული სესხები ჯამში შეადგენს 1 128 227 ლარს, ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა წარმოქმნას ეჭვი ჯგუფის უნართან დაკავშირებით დროულად დაფაროს ვალდამდგარი სასესხო ვალდებულებები, რადგან მომავალ წელს ჯგუფს უწევს მნიშვნელოვანი სესხის დაფარვა და მისი ლიკვიდური აქტივები საკმარისი არ ჩანს ამ თანხის დასაფარად, თუმცა აღსანიშნავია, რომ ჯგუფის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების შედეგი დადებითია და შეადგენს 12 217 086 ლარს. რაც შეეხება პრივატიზაციით მიღებულ ქონებას, წარმოადგენს გრძელვადიან ვალს, რომლის დაფარვის ვალდებულებაც ჯგუფს არ აქვს ბალანსის შემდგომ პერიოდში.

წინამდებარე ანგარიში მომზადდა 2025 წლის ოქტომბერში და ფაქტია, რომ ჯგუფს საქმიანობა არ შეუწყვეტია და არც საქმიანობის მასშტაბი შეუმცირებია. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ შეძლებს მიმდინარე სასესხო ვალდებულების დათქმულ ვადებში დაფარვას, ხოლო გრძელვადიანი სესხის ვადაზე ადრე დაბრუნების საკითხი არ წამოიჭრება და არც ვადაგადაცილების შემთხვევაში მოითხოვენ სესხის გამცემები მის მყისიერად უკან დაბრუნებას. ამ ანალიზისას მენეჯმენტი ითვალისწინებს ჯგუფის წარსულ გამოცდილებასაც, რაც ამყარებს პოზიციას, რომ საწარმო გააგრძელებს უწყვეტ ფუნქციონირებას.

ზემოთ აღწერილი ყველა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოს წარმოადგენს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

შპს ინტერ გაზი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## **21. ბალანსის შემდგომი მოვლენები**

ბალანსის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც საჭიროებს ანგარიშგებაში წარდგენას იდენტიფიცირებული არ არის.

## **კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება**

### **შპს ინტერ გაზი**

შპს „ინტერ გაზი“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2013 წლის 08 იანვარს, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ახალციხე, ნათენაძის ქ. N2. კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია ჩეხეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პლინ ინ; 05470048; C264175. ორგანიზაციის დირექტორს წარმოადგენს ვასილი აბულაძე ; 47001006781.

ჯგუფის შექმნის თარიღია 2022 წლის 19 ივნისი, რა დროსაც შპს ინტერ გაზმა შეიძინა შპს ქართული ხორცის კომპანიის 100% წილი. 2023 წელს კი შეიძინა ჩეხეთში რეგისტრირებული კომპანიისგან „ვან თრეილინგი“ 20% წილი და გახდა მეკავშირე საწარმო. ვინაიდან შპს „ქართული ხორცის კომპანია“ არც შესყიდვის თარიღში და არც შემდგომ საანგარიშო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას არ ახორციელებს და ფლობს მხოლოდ აქტივს უძრავი ქონებით სახით, წარმოდგენილი მართველობის ანგარიშგება დაფუძნებულია მხოლოდ მშობელი საწარმოს ინტერ გაზის საქმიანობის მიმოხილვაზე.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბოლოო მომხმარებლებისათვის ბუნებრივი აირის გატარება-მიწოდების მომსახურება, ბუნებრივი აირის ახალი აბონენტების გამრიცხველიანება და გაზსადენების სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევა.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით და ზედამხედველობით განსაზღვრულია გაზის მიწოდების თანხები, რომლის მიხედვითაც კომპანია 2013 წლიდან წარმატებულად ოპერირებს ახალციხის მუნიციპალიტეტში და ამარაგებს ადგილობრივ სოფლის მოსახლეობას ბუნებრივი აირით.

2025 წელს ჯგუფი გეგმავს დამატებით ახალი აბონენტების გამრიცხველიანებას და ახალციხის რაიონში არსებული სოფლების უზრუნველყოფას ბუნებრივი აირის მიწოდებით. კომპანიის სამოქმედო გეგმას წარმოადგენს შემოსავლების ზრდისკენ მიდრეკილების შენარჩუნება და დამატებითი ახალი ლოკაციების ათვისება. წლების განმავლობაში ზემოთ აღნიშნულ სფეროში ოპერირებამ ჯგუფს დიდი გამოცდილება შესძინა, რაც წარმატების მყარ გარანტიორსაც წარმოადგენს.

### **არაფინანსური მაჩვენებლები**

თანამშრომლები: შპს „ინტერ გაზი“-ს პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 50 თანამშრომლამდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება. ჯგუფის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ აქვს დიდი საკადრო ბრუნვა, მსხვილი კორპორაციისთვის დამახასიათებელი საკადრო პოლიტიკა და პროცედურები.

### **ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან**

ჯგუფი დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე ხვდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის რეგულირების სფეროში, შესაბამისად ახორციელებს ყველა იმ რეგულაციების დაცვას და მათი დაცვის მონიტორინგს რაც უკავშირდება ამ უწყების მოთხოვნებს.

## **სუბიექტის განვითარების გეგმები**

ჩვენი განვითარების გეგმა დაკავშირებულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, რაც შეიძლება მეტი მოსახლის გამრიცხველიანებასთან. გამომდინარე იქიდან რომ ჩვენი კომპანია ახორციელებს, როგორც გაზიფიცირებას ასევე მის შემდგომ მიწოდებას, არის ისეთი ტერიტორიებიც რომელზეც ჯერ არ მომხდარა მოსახლეობის გამრიცხველიანება. ჩვენ ვგეგმავთ რომ 2025 წელს კიდევ უფრო მეტ სახლში მოხდეს ბუნებრივი გაზით მომარაგება.

## **კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა**

ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩატარებული კვლევები ძირითადად უკავშირდება შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიმოხილვის მოკვლევებს და ასევე უსაფრთხოების მიმართულებით ჩატარებულ მიმოხილვებს.

## **ძირითადი რისკები და გაურკვევლობა**

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები: ჯგუფი ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ასევე მოსახლეობის გადამხდელუნარიანობა.

ქვემოთ ჩამოთვლილია ყველა ის გარემოება რომელიც დროის სხვადასხვა პერიოდში შესაძლოა გახდეს ბიზნესისათვის რისკის შემქნელი:

### **ტექნიკური რისკები:**

- გაზის სისტემების ინციდენტები, ავარიები და დაზიანებები (მაგალითად, მილების გაწყობა, გაზის სარჩევების გაფუჭება).
- ტექნიკური დეფიციტი, outdated ტექნოლოგიების გამოყენება, მწყობრიდან გასული გამანაწილებელი მოწყობილობები.
- გაზის გაჟონვა, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი ან ექსპლოზია.

### **ეკონომიკური რისკები:**

- ფასების მატება ბუნებრივი გაზის ბაზარზე, რაც გაზის მიღების ხარჯებს ზრდის.
- კონკურენციის ზრდა და ახალი ბაზრების შესვლა, რაც შეიძლება გავლენა იქონიოს შემოსავალზე.
- რეგულაციების ცვლილება, რაც შესაძლოა გაზის ტარიფებზე გავლენას მოახდენდეს.

### **რეგულატორული რისკები:**

- კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც შეიძლება სერიოზულ გავლენას ახდენდეს მუშაობის სტანდარტებზე.
- ენერგეტიკული ბაზრის მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობა და მათი პოლიტიკის ცვლილებები.



#### **გარემოს რისკები:**

- ბუნებრივი კატაკლიზმების, მაგალითად, მიწისძვრების ან ძლიერი ქარებისგან გამოწვეული ზიანის რისკი.
- გარემოს დაცვის ნორმების დარღვევა, რაც შეიძლება სასჯელის ან ჯარიმების მიზეზი გახდეს.

#### **მომხმარებელთან დაკავშირებული რისკები:**

- მომხმარებლის მიერ გაზის გაზრდილი მოთხოვნა, რომელიც გამანაწილებელი კომპანიის შესაძლებლობებს გადააჭარბებს.
- მომხმარებლებისგან დავების წარმოქმნა არასწორად მიწოდებული გაზის ან გაჩერებული მომსახურების გამო.

#### **ფინანსური რისკები:**

- ინვესტიციების მიღების სირთულეები ან დაბალი სესხების მაჩვენებლები, რაც შეიძლება გაართულოს ტექნოლოგიური განახლება.
- ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ცვლილებები, თუ კომპანია აქციებს ფლობს.

#### **სოციალური და პოლიტიკური რისკები:**

- პოლიტიკური ცვლილებები, რომელიც გავლენას ახდენს გაზის მიწოდებაზე ან ფასებზე.
- შიდა ან საერთაშორისო კონფლიქტები, რომლებიც გაზის მიწოდებას ან განაწილებას შეაფერხებს.

რეგულაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება ხელს უწყობს გაზის გამანაწილებელი ჯგუფის რისკების მართვას, თუმცა ამ საკითხების მონიტორინგი მუდმივად მნიშვნელოვანია. ჩვენი მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს, რომ ყველა რისკის იდენტიფიცირება დროულად მოახდინოს და მინიმუმადე დაიყვანოს მისი ბიზნესზე გავლენის უარყოფითი მხარეები.

დირექტორი:

ვასილ აბულაძე

21 ოქტომბერი, 2025

#### გარემოს რისკები:

- ბუნებრივი კატაკლიზმების, მაგალითად, მიწისძვრების ან ძლიერი ქარებისგან გამოწვეული ზიანის რისკი.
- გარემოს დაცვის ნორმების დარღვევა, რაც შეიძლება სასჯელის ან ჯარიმების მიზეზი გახდეს.

#### მომხმარებელთან დაკავშირებული რისკები:

- მომხმარებლის მიერ გაზის გაზრდილი მოთხოვნა, რომელიც გამანაწილებელი კომპანიის შესაძლებლობებს გადააჭარბებს.
- მომხმარებლებისგან დავების წარმოქმნა არასწორად მიწოდებული გაზის ან გაჩერებული მომსახურების გამო.

#### ფინანსური რისკები:

- ინვესტიციების მიღების სირთულეები ან დაბალი სესხების მაჩვენებლები, რაც შეიძლება გაართულოს ტექნოლოგიური განახლება.
- ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ცვლილებები, თუ კომპანია აქციებს ფლობს.

#### სოციალური და პოლიტიკური რისკები:

- პოლიტიკური ცვლილებები, რომელიც გავლენას ახდენს გაზის მიწოდებაზე ან ფასებზე.
- შიდა ან საერთაშორისო კონფლიქტები, რომლებიც გაზის მიწოდებას ან განაწილებას შეაფერხებს.

რეგულაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება ხელს უწყობს გაზის გამანაწილებელი ჯგუფის რისკების მართვას, თუმცა ამ საკითხების მონიტორინგი მუდმივად მნიშვნელოვანია. ჩვენი მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს, რომ ყველა რისკის იდენტიფიცირება დროულად მოახდინოს და მინიმუმადე დაიყვანოს მისი ბიზნესზე გავლენის უარყოფითი მხარეები.

დირექტორი:

ვასილ აბულაძე

21 ოქტომბერი, 2025

